პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 169 (3146) 31 1966 წ. აგვისტო. ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

სსრ კავშირის პირველობა

მეგობლები დარჩნენ მეგობლებად

ალმა-ათა. ცენტრალური სტადიონი. 30 აგვისტო.

„კაირატი“ (ალმა-ათა) — „დინამო“ (თბილისი) 1:1 (0:1).

„კაირატი“: ლისიცინი (კოსენკოვი), მუხინი, სტეპანოვი, ფედოტოვი, კამინსკი, ფალინი, კვოჩკინი, ოსტროუშკო, ვორონჩიხინი, როჟკოვი, ვოლოხი (სეგიზბაევი).

„დინამო“: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ბურცილავა, პეტრიაშვილი, ცხოვრებოვი, იამანიძე, ილიადი, მეტრეველი, ასათიანი, მაისურაძე, დათუნაშვილი.

მსაჯი ნ. კირსანოვი (კიევი).

დუბლიორები — 1.1.

წლევანდელი „კაირატი“ საგრძნობლად განსხვავდება იმ „კაირატისაგან“, რომელიც „ა“ კლასის I ჯგუფში გამოდიოდა, ვთქვათ, ორიოდე წლის წინათ. გუნდი მომძლავრდა, ფეხზე დადგა, ახალი მოთამაშეები ორგანულად შეეწყვნენ კოლექტივს და უმტკივნეულოდ შეავსეს სუსტი ადგილები. ამის შესაბამისად, კაირატელებს მალალი ადგილიც უკვიათ გათამაშების ცხრილში.

ალმა-ათის ფეხბურთელებს წლეულს დამარცხებული ჰყავთ ძლიერი მოწინააღმდეგეები, კერძოდ, მათ წაგების პირველი სიმწარე აგემეს „პახტაკორს“ და ისიც მის მინდორზე. ყოველივე ამას გარდა, „კაირატმა“ მეორე წრეში ჩაატარა სულ 1 მატჩი, ე. ი. მას მარაგში აქვს ჩასატარებელი მატჩები და ალბათ, მათთან ერთად ელის ახალი ქულებიც.

თბილისელებმა სწრაფად, ენერგიულად დაიწყეს თამაში. მასპინძლები ჯერ რიგიანად არც იყვნენ „გათამაშებული“, როცა მათ კართან ზედიზედ შეიქმნა საშიფთო მომენტები. საჭირო გახდა დაცვის ხაზების გაძლიერება თავდასხმის მოთამაშეებით, მაგრამ გუნდმა მაინც ვერ შეძლო ეხსნა თავი გოლისაგან. მე-12 წუთზე დინამოელთა ერთ-ერთი იერიში დამთავრდა გოლით: ასათიანის მიერ დარტყმული ბურთი მოხვდა ძელს და დაუბრუნდა მინდორს. მას მიუსწრო დათუნაშვილმა, რომელმაც გახსნა ანგარიში — 1:0.

თბილისელებმა ამ ერთი გოლის უპირატესობა შეინარჩუნეს ტაიმის ბოლომდე. კაირატელებმა მთელი თავიანთი ძალები გადაისროლეს შეტევაში შესვენების შემდეგ. 63-ე წუთზე „დინამოს“ კარში დაინიშნა საჯარიმო დარტყმა, რომლის შესრულება გუნდმა მიანდო სტეპანოვს. „კაირატის“ ამ მცველს მიმდინარე ჩემპიონატის კალენდარულ მატჩებში უკვე გატანილი ჰქონდა 3 ბურთი, მათ შორის — საჯარიმოდანაც. და აი, სტეპანოვმა თავის აქტივს კიდევ 1 გოლი მიუმატა. მან ზუსტად დაარტყა და ბადეში გაუზავნა ბურთი — 1:1.

დარჩენილ დროში ორივე გუნდი ადრინდელი ენერგიით იბრძოდა მოგებისთვის, მაგრამ ცვლილება ანგარიშში აღარ მომხდარა და მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. გათამაშების ცხრილის მეზობლებს — თბილისისა და ალმა-ათის გუნდებს კვლავინდებურად თანაბარი ქულები აქვთ.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

თბილისში დამთავრდა „ა“ კლასის II ჯგუფის ფრენბურთელ ვაჟთა საკავშირო შეჯიბრების I წრე.

სურათზე: ლენინგრადისა და ერევნის დინამოელთა შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო მ. ლეჟავასი.

მეფისტოფელი, კაპიტანი ნემო, არამისი

რა უცნაური სახელები არჩიეს ვენ ცხენებს, რომლებსაც წვრთნიან დიდ შეჯიბრებებში საასპარეზოდ. მეფისტოფელი, კაპიტანი ნემო, არამისი და ორფეოსი მონაწილეობდნენ მოსკოვის იპოდრომზე გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო დოღებში. შეჯიბრებაში გამოდიოდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის წარმომადგენლები. გათამაშდა 18 ჯილდო, მათ შორის, „მშვიდობის“, „სოციალისტური ქვეყნების“, „მოსკოვის“, „კიევისა“ და სხვ.

ასპარეზობის დამთავრების დღეს, 28 აგვისტოს, ცხენოსანთა გამოსვლებს ესწრებოდნენ სსრ კავშირის მარშლები ს. მ. ბუდიონი და კ. ე. ვოროშილოვი. ჩვენმა სახელოვანმა მხედართმთავრებმა გამარჯვება მიულოცეს ა. ზეკაშვილს, რომელმაც დაისაკუთრა „მშვიდობის“ ჯილდო. ბესლანის ცხენსაშენი ჭარხნის აღზრდილ არამისზე მან წვიმიან ამინდში 1.500-მეტრიანი დისტანცია დაფარა 1 წუთსა და 35 წამში. წარმატება ხვდა წილად უნგრელ მხედარს მ. გელიჩს, რომელმაც „ასპარეზობის გახსნის“, გრადიცის, კოზენიცეს ცხენსაშენი ჭარხნებისა და კიევის სახელობის ჯილდოები მოიპოვა. ზემოჩამოთვლილ სპორტსმენებს არც ცნობილი მხედარი, საერთაშორისო კატეგორიის ჟოკეი ნ. ნასიბოვი ჩამორჩა. იგი ორჯერ იყო პირველი ფინიშთან, ხოლო ვარშავის სახელობის ჯილდოს გათამაშებაში II ადგილი დაიკავა. სოციალისტური ქვეყნების ცხენოსანთა ეს საერთაშორისო დოღები რიგით XVIII იყო, მოსკოვისთვის კი — II.

გუშინ...

«დინამო» (კიევი) — «დინამო» (მინსკი) 1:0

«პახტაკორი» — «არარატი» 4:1

ასკ (როსტოვი) — «ნეფტიანიკი» 1:3

«ლოკომოტივი» — «ჩერნომორეცი» 1:0

ასკ (ოდესა) — «ზენიტი» 0:1

„ა“ კლასი I ჯგუფი

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შეხვედრების შედეგები

მდგომარეობა 31 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კიევი)	23	16	6	1	47—8	38
ცსკა	21	12	6	3	49—28	30
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	22	11	6	5	33—27	28
„ტორპედო“ (მოსკოვი)	23	10	7	6	36—24	27
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	21	8	11	2	23—14	27
ასკ (როსტოვი)	22	12	1	9	34—36	25
„დინამო“ (მოსკოვი)	21	9	5	7	32—22	23
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	23	9	5	9	30—35	23
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	22	8	6	8	28—19	22
„დინამო“ (თბილისი)	22	7	8	7	24—22	22
„კაირატი“ (ალმა-ათა)	20	9	4	7	21—21	22
„დინამო“ (მინსკი)	22	6	8	8	22—26	20
„არარატი“ (ერევანი)	23	6	7	10	17—33	19
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	23	5	8	10	20—29	18
„შახტიორი“ (დონეცკი)	19	7	3	9	17—23	17
„ტორპედო“ (ქუთაისი)	21	6	4	11	23—39	16
„არ. სოვეტოვი“ (ყაზანი)	21	3	9	9	15—29	15
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	21	5	2	14	16—32	12
ასკ (ოდესა)	22	1	6	15	11—38	8

„ბ“ ჯგუფი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 31 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)	26	16	6	4	52—24	38
„მეტალურგი“ (რუსთავი)	27	14	7	6	47—26	35
„ლერნაგორცი“ (ქუფანი)	26	14	6	6	37—22	34
„მაშინოსტროიტ.“ (პიატიგორ.)	26	11	9	6	40—26	31
„ცემენტი“ (ნოვოროსიისკი)	26	13	5	8	25—19	31
„სპარტაკი“ (ქისლოვოდსკი)	27	12	7	8	28—24	31
„ალაზანი“ (გურჯაანი)	27	13	4	10	33—24	30
„მეშახტე“ (ტყიბული)	27	11	7	9	45—27	29
„კოლხიდა“ (ფოთი)	27	10	8	9	28—24	28
„დინამო“ (ხობუმი)	26	10	7	9	35—31	27
„ლოკი“ (ლენინაკანი)	27	9	9	9	22—26	27
„შროშაი“ (კრიმსკი)	26	12	2	12	23—33	26
„დილა“ (გორი)	27	9	6	12	23—33	24
„შროშაი“ (მაიკოპი)	26	9	5	12	40—32	23
„ენგური“ (ზუგდიდი)	27	9	5	13	32—34	23
„დინამო“ (მახაჩყალა)	27	6	10	11	27—35	22
„ხეპანი“ (ოქტემბერიანი)	27	7	6	14	32—45	20
„არაქსი“ (ერევანი)	27	7	5	15	19—39	19
„შრალანი“ (ელისტა)	26	4	9	13	22—53	17
„შროშაი“ (დერბენტი)	26	5	5	16	27—66	15

შენიშვნა: ცხრილში არაა შეტანილი ქუფნის „ლერნაგორცისა“ და სოხუმის „დინამოს“ მატჩის შედეგი.

გაიმარჯვეს საგჭოთა იუნიორებმა

სანრემო, 29 აგვისტო. იტალიის ამ ქალაქში დამთავრდა იუნიორთა საკლუბო გუნდების ტრადიციული ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ „ბურევესტნიკი“ (სსრ კავშირი), „ფერენცვაროში“ (უნგრეთი), „ევერტონი“ (ინგლისი), „ვერდერ ბრემენი“ (გფრ), „ფრიბურგი“ (შვეიცარია) და მასპინძელთა 7 კოლექტივი.

წარმატებით ითამაშეს ჭაბუკმა საბჭოთა ფეხბურთელებმა. ნახევარფინალში მათ დაამარცხეს „ინტერნაციონალე“ (2:1) და ფინალში შეხვდნენ „მილანს“. ეს უკანასკნელი ფინალში „ფერენცვაროშთან“ მოგებამ (3:1) გაიყვანა.

გადამწყვეტი მატჩის 66-ე წუთზე საბჭოთა ფეხბურთელმა შაკუნმა შეტოჭეთა კარში გაიტანა გოლი, რომელიც ერთადერთი აღმოჩნდა ამ თამაშში. „ფერენცვაროშისა“ და „ინტერნაციონალეს“ ბრძოლა III ადგილისთვის დამთავრდა უნგრელთა ხასარგებლოდ — 4:2.

საქმით ვუპასუხოთ
პარტიისა და მთავრობის მამობრივ მზრუნველობას

შემდგომი მუშაობის შუქურა

ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ. დადგენილება მნიშვნელოვან პერსპექტივებს სახავს სასკოლო კოლექტივების საქმიანობაში. ამასთან დაკავშირებით, ჩვენი კორესპონდენტი ვ. ბუკია ეწვია თბილისის 52-ე სკოლის დირექტორს გ. ჩერკასოვას და პაუბარი ჰქონდა მასთან.

● დადგენილებაში ნათქვამია, რომ მოზარდი თაობის ფიზიკური განვითარებას საძირკველი ზოგადსაგანმანათლებლო და პროფტექნიკურ სკოლებში უნდა ჩაეყაროს. პასუხობს თუ არა ამ მოთხოვნას თქვენი სკოლა?

— თავდ განსაჯეთ: ჩვენს სკოლაში შარშან 1500 ბავშვი სწავლობდა, მათგან 914 ფიზკულტურელი იყო. ჩვენთან აღიზარდა 18 პირველთანარიგოსანი, 26 მეორე 83 მესამე და 170 მოზარდთა თანრიგოსანი.

● რით მიაღწიეთ ასეთ მასობრიობას?

— ფიზაღზრდის მასწავლებლების — ა. იაკობაშვილის, ნ. ურუშაძის, ნ. ფანცხავას გეხირვრული მუშაობით. მათ კარგად უძღვება გამოცდილი ორგანიზატორი, „სპორტის დედოფლის“ თაყვანისმცემელი, უფროსი მასწავლებელი ვ. ქადეიშვილი. სკოლაში ჩამოყალიბებულია ფრენბურთის, კალათბურთის, მავიდია ჩოგბურთის. მძლეოსნობისა და სხვა სახეობათა სექციები, რომლებშიც 400-ზდე მოსწავლეა გაერთიანებული. რაც მთავარია, ბავშვები თვითონ ადგენენ შეჯიბრებათა დებულებებს, აკომპლექტებენ გუნდებს, ატარებენ ვარჯიშებს და, საერთოდ, სასკოლო კურსის გავლასთან ერთად ეუფლებიან ფიზკულტურის ინსტრუქტორის ჩვევებს. დავასახელებ რამდენიმე მოწინავეს: მძლეოსნობაში — ლ. ყაჯრიშვილი, კალათბურთში — გ. ჭოროღლიშვილი, ხელბურთში — გ. ბაღდასაროვი.

● როგორ იგეგმება სკოლაში ფიზკულტურული მუშაობა?

— სექტემბრის პირველი კვირა მოსამზადებელია ამ პერიოდში მასწავლებლები აქტივისტებს უყრიან თავს და სემინარებს აწყობენ, ტარდება შესარჩევი შეჯიბრებები სპორტის ცალკეულ სახეობებში. ტურნირებში ყველა მოსწავლე მონაწილეობს. შემდეგ ყალიბდება ნაკრები გუნდები, იქმნება სექციები და გრძელდება რეგულარული წვრთნა. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მოსწავლეთა ძირითადი მასა სპორტში არ არის ჩაბმული. მათთვის ეწყობა საკლასო შეჯიბრებები, სამატჩო შეხვედრები კლასებს შორის, აბარებენ იმშთ და მშთ ნორმატივებს. მარტო შარშან ეს ნორმატივები 219-მა მოსწავლემ ჩააბარა. აღსანიშნავს იმასაც დავუმატებ, რომ ჩვენი სკოლის 500-მდე მოსწავლე ქალაქის სხვადასხვა სპორტულ სექციაშიც ძეცადინეობს. ყოველივე ამან უკვე გამოიღო ნაყოფი. შარშან რაიონულ სპარტაკიადაში მივიღეთ მონაწილეობა. ჩვენი ნორჩი ფიზკულტურელები პროგრამით გათვალისწინებულ ყველა 16 სახეობაში გამოვიდნენ და საერთო I ადგილი დაიკავეს. ამას გარდა, 114 მოსწავლე რაიონის, ქალაქისა და რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში შედის.

● როგორ ემზადება თქვენი სკოლის ფიზკულტურული კოლექტივი სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის?

— 1962 წლიდან მოკიდებული, სისტემატურად აღვრიცხავთ ჩვენი სკოლის ყველა საუკეთესო სპორტსმენს, თვალს ვადევნებთ მათი ოსტატობის ზრდას, მუდამ ვიცით, რა შესაძლებლობა აქვთ, რისთვისაა არიან მზად სასიხარულოა, რომ ჩვენი „სია“ გამუდმებით იცვლება: ერთნი იზრდებიან, ოსტატდებიან, საქართველოს ნაკრებ გუნდებს ავსებენ, ჩვენთან კი მათ ადგილს მეორენი იკავებენ.

ამჟამად ჩვენთან სექციების საქმიანობის გრაფიკის გადახალისება ხდება. ვარჩევთ მომავალ საზოგადოებრივ ინსტრუქტორებს, შევადგენთ პერსპექტიული გეგმა. ამ საქმეში დიდად გვიწყობს ხელს საერთო ფიზმომზადების ჯგუფის საქმიანობა.

● დადგენილებით, მომავალი 2-3 წლის მანძილზე სკოლებთან უნდა შეიქმნას სპორტული ბაზები და უბნები, შეიცვალოს სპორტული ინვენტარი. ამ მხრივ როგორ გაქვთ საქმე?

— ბაზები კარგი გვქონდა, მაგრამ მათ ადგილზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი დადგეს, თუმცა არც ახლა გადაგვიწურავს იმედი. ჩვენ გვაქვს ახალი მოედნების მოწყობის საშუალება და ვფიქრობთ, მალე ბავშვების განკარგულებაში იქნება 100-მეტრიანი სარბენი ბილიკი, სიგრძეზე და სიმაღლეზე სახტომი ორმოები, სპორტთამაშების მოედნები. ასე რომ, ჩვენს მოსწავლეებს სავარჯიშოდ ქალაქის მოედნებზე სიარული აღარ დასჭირდებათ. ჩვენს სკოლას მძლეოსნობის განხრა აქვს. ამიტომ ამ სახეობას განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ. რაც შეეხება სპორტინვენტარს, იგი საკმაოდ გვაქვს და წლეულსაც ბევრს შევიძენთ.

„ინტერვიუ“

● ახალი სასწავლო წლისთვის სამზადისზე რაღას გვეტყვით?

— ამის შესახებ ნაწილობრივ უკვე ვილაპარაკეთ, მხოლოდ დავსძენ, რომ... თუმცა, წავიდეთ, თვად ნახეთ...

სპორტდარბაზში მოსწავლეები ფუსფუსებდნენ. გულმოდგინედ წმენდდნენ იარაღებს, იატაკს, ფანჯრებს. დარბაზი სავსეა სპორტული ინვენტარით.

ის იყო წამოსვლას ვაპირებდით, რომ დირექტორს უცნობი ქალი მიუახლოვდა:

— ნ. ანჩაბაძე ვარ, გეოლოგი. მინდა ჩემმა ბავშვმა თქვენს სკოლაში ისწავლოს. მეტად მოუსვენარია, სპორტში ნიჭიერი... მირჩიეს თქვენთან მომეყვანა.

დიახ, 52-ე სკოლაში მართლაც ჩქეფს ფიზკულტურული ცხოვრება.

ქოლგები ცაში ეკიდა

ამას წინათ დამთავრდა უძლიერეს სპორტსმენ-პარაშუტისტთა ზონალური შეჯიბრება ამიერკავკასიის თასზე. ამ საინტერესო ტურნირში მონაწილეობდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და სამხედრო ოლქის სპორტული კლუბის ვაჟთა და ქალთა ნაკრები გუნდები.

პირად ჩათვლაში დაშვების სიზუსტეზე ინდივიდუალურ ტომაში I ადგილი დაიკავა ერევნის დოსააფის ავიასპორტული კლუბის წარმომადგენელმა რ. კალიბინმა, რომელმაც 282,68 ქულა დააგროვა. მას მხოლოდ 0,44 ქულით ჩამორჩა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტკლუბის პარაშუტისტი ვ. მაკაროვი. სამაგიეროდ, მან გაიმარჯვა ყოვნით გახსნილი პარაშუტით ტომაში.

1.500 მეტრიდან კომბინირებულ ტომაში ყველას აჯობა თბილისის დოსააფის ავიასპორტული კლუბის წევრმა ლ. გოგიშვილმა — 282,6 ქულა.

თბილისის დოსააფის ავიასპორტული კლუბის ვაჟთა გუნდმა (ვ. ბონდარენკო, კ. ლობჟანიძე, გ. მალხასიანი და გ. კრავჩენკო) სიზუსტეზე ჯგუფურ ტომაში ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა — წრის ცენტრიდან საშუალო გადახრა 1,27 მეტრს შეადგენდა.

ქალთა ინდივიდუალურ ტომაში I და II ადგილებზე გავიდნენ თბილისელები ლ. კოვალენკო და ლ. პუხოვა, ხოლო კომბინირებულ ტომაში — ერევნელი მ. თუმანიანი.

გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავა საქართველოს კოლექტივმა, II ადგილზე არიან ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის წარმომადგენლები.

გ. არჩვაძე.

სახალხო კლუბი „რიონი“

ჭუთაისის სპორტკავშირისა და ჰომის დასახლების საუბნო კომიტეტის თაოსნობით ამ უბნის მცხოვრებთათვის ჩამოყალიბდა ჯანმრთელობისა და დასვენების სახალხო კლუბი, რომელსაც „რიონი“ ეწოდა.

თავდაპირველად შეიქმნა კლუბის საორგანიზაციო კომიტეტი № 4 სამკერვალო ფაბრიკის დირექტორის ვ. იობიძის, ჰალაჭის გამწვანების ტრესტის მმართველის ა. გეგეჭკორის, 26-ე საშუალო სკოლის დირექტორის შ. სულავას, „სოფელქტროს“ სამმართველოს ინჟინრის გ. ბაბუხადიას, პენსიონერ ს. დათიაშვილისა და სხვათა, სულ 15 კაცის შემადგენლობით.

კლუბის საინიციატივო ჯგუფმა მიიღო და ქალაქის საბჭოს აღმასკომმა დაამტკიცა დებულება, რომელიც ფიზკულტურასა და სპორტში მოსახლეობის ფართოდ ჩაბმას, მოზარდ თაობასთან მეტ მუშაობას, მარტივი ფიზკულტურული ბაზების მშენებლობას, სპორტული ინვენტარის შეძენას ითვალისწინებს.

სახალხო კლუბი საზოგადოებრივ საწყისებზე იმუშავებს. მას აქვს თავისი ემბლემა და ეძლევა უფლება გამოიყენოს გუნდები საქალაქო შეჯიბრებებში.

კლუბის საორგანიზაციო კომიტეტმა ჰომის დასახლების უველა მცხოვრებს მოუწოდა აქტიური მონაწილეობა მიიღოს კლუბის საქმიანობაში, მზარი დაუჭიროს საინტერესო წამოწყებას, თავისი წვლილი შეიტანოს ჯანმრთელობის ამ შესანიშნავი კერის განმტკიცებაში.

შ. ნიშარაძე.
(ჩვენი კორ.).

ჭუთაისი.

რუსთაველის იუბილეს დღეებში

ჭუთაისი (ჩვენი კორ.). ქალაქის სპორტსმენები დიდი პოეტისა და მოაზროვნის — შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს აღნიშნავენ. ამ თარიღს ეძღვნება ბევრი საქალაქო თუ საკავშირო შეჯიბრება, ტურისტული ლაშქრობა-მოგზაურობა...

ნაყოფიერად მუშაობს საქალაქო სპორტკავშირთან საზოგადოებრივ საწყისებზე არსებული ფიზკულტურისა და სპორტის სახალხო უნივერსიტეტი. რუსთაველის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე სპორტსმენებისთვის ლექციები წაიკითხეს პროფესორმა ი. მეგრელიძემ, დოცენტებმა გ. მჭედლიძემ, მ. მახათაძემ, ნ. რამიშვილმა და სხვ.

შოთას დღეებისთვის კიდევ მრავალი საინტერესო ღონისძიებაა გათვალისწინებული.

ზესტაფონი

ფეროშენადნობთა ქარხნის სტადიონზე ჩატარდა საქართველოს სსრ მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თასის გათამაშება ფეხბურთში. საინტერესო შეჯიბრება დამთავრდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის გუნდის გამარჯვებით. II ადგილზე გავიდნენ ჭიათურელები.

ჯ. ნებიერიძე.

ხოგი

ნოემბრის 30-ე პროფტექნიკურ სასწავლებელში ჩატარდა პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. სასწავლებლის ჩემპიონობა მოიპოვეს: ვ. კვარაცხელიამ, რ. გაბელიამ, მ. ჩიტაიამ, კ. ახალაიამ, ჟ. გვაზავამ, რ. გუმბამ.

ა. სანიკიძე,
სპორტის ოსტატი.

ყოველი

ლიც წინასწარ ხელშეკრულებას არ დაუდებს გუნდს, მატჩებზე არ დაიშვება (გამონაკლისი შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ I ლიგის გუნდის მოთამაშეს შეცვლის „ბ“ კლასის, ან ახალგაზრდული კლუბების ფეხბურთელი).

ჩეხოსლოვაკიური ფეხბურთის სიახლე

როგორც გახეთი „ჩესკოსლოვენსკი სპორტი“ იუწყება, ჩეხოსლოვაკიის ბირველი საფეხბურთო ლიგის გუნდები ახალ პირობებში იწყებენ სეზონს: სპორტსმენი, რომელიც ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთის ცენტრალური სექციის წარმომადგენელი ბედრიხ ბროჟი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს შეთანხმება სრულიადაც არ ნიშნავს პროფესიულ ხელშეკრულებას, ვინაიდან ეს უკანასკნელი ითვალისწინებს ფეხბურთელის შრომით ვალდებულებას და მისთვის განკუთვნილ ხელფასსაც. პროფესიული ფეხბურთის ქვეყნებში კლუბი, თუ შეიძლება ითქვას, სამუშაოს ძძლევა, ფეხბურთელი კი დაქირავებული მუშაა. ჩეხოსლოვაკიაში მოთამაშისა და გუნდის ხელშეკრულება გამოხატავს არა შრომით, არამედ მოქალაქეობრივ უფლებრივ ურთიერთობებს.

ხელშეკრულება დაიდება 2-დან 5 წლის ვადით. ეს ნიშნავს, რომ ვერც ერთი კლუბი ვერ გარისკავს ფეხბურთელს შუა სეზონში. მეორეს მხრივ, ეს აღკვეთს მოთამაშის ერთი კლუბიდან მეორეში თვითნებური გადასვლის შემთხვევებს, ხელს შეუწყობს სპორტსმენთა და გუნდის ადმინისტრაციას შორის ურთიერთობის მოწესრიგებას.

„ფულის ქრონიკული ნაკლებობა“

ავსტრიის პრესა უდიდეს ადგილს უთმობს სამთო-მოთხილამურეებს. როგორც ცნობილია, პორტილოში, მსოფლიო ჩემპიონატზე, ავსტრიელებმა სერიოზული მარცხი იწვნიეს ამ თავიანთ ეროვნულ სახეობაში.

აი, როგორ წერს ავსტრიის ნაკრების წევრთა წარუმატებლობას კარლ შრანცი:

„საქმე ნაკრების სუსტი შემადგენლობა როდია. ჩვენი სპორტსმენები არ შეცვლილან, არც გაუოყინებიათ ქებით, არც შეუპოვარი, ბეჯითი წვრთნა შეუწყვეტიათ. ჩვენ ყველამ და თვითეულმა ცალ-ცალკე ძალ-ღონე არ დავიშურეთ გამარჯვების მოსაპოვებლად. მაგრამ არის თუ არა ჩვენი ბრალი, რომ მსოფლიო ჩემპიონატს საუკეთესო სპორტული ფორმით ვერ შევხვდით?“

ამ კითხვას პასუხი გასცა ავსტრიის სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, დოქტორმა ზეპ ზულცბერგერმა.

„დიახ, — ამბობს ზულცბერგერი, — სპორტსმენებს მართლაც არ მიუძღვით დანაშაული. დიახ, პორტილოში ჩვენ არნახული მარცხი ვიწვნიეთ. მაგრამ, ღმერთს გეფიცებით, მე მიმაჩნია ეს დამარცხება. მიხარია, რადგან იმედი მაქვს, რომ ავსტრიის საზოგადოებრიობა ახლა მაინც მიაქცევს ყურადღებას ჩვენს გასაჭირს და დაგვეხმარება. ჩვენი ქვეყნის სამთო-მოთხილამურეთა კავშირს დიდ ხანია სრულ სიღატაკეში უხდება მუშაობა. ვერ იქნა და ვერ დავაღწიეთ თავი ფულის ქრონიკულ ნაკლებობას. სწორედ ამიტომ ვერ შევძელით სათანადო დონეზე ჩაგვეტარებინა საწვრთნელი შეკრება მსოფლიო ჩემპიონატის წინ, იძულებული გავხდით ბევრი ძლიერი სპორტსმენი შინ გაგვეტუმრებინა.

ამ წლის დამდეგს ავსტრიელმა მოთხილამურეებმა კიდევ არ იცოდნენ შესძლებდა თუ არა ჩვენი კავშირი კერძო და სხვა შემოწირულებათა საშუალებით შეეგროვებინა ფული პორტილოში გასამგზავრებლად.

უდაოდ ნიჭიერი სპრინტერია თბილისის სავგორო დეპოს ზეინკალი, სპორტის ოსტატი ტარიელ ბახტაძე, რომელიც მუდამ წარმატებით გამოდის 100, 200 და 400 მეტრზე რბენაში. ტარიელმა ამას წინათ სსრ კავშირის პირად პირველობაზე დნეპროპეტროვსკში 400 მეტრი 48,2 წამში გაირბინა და 0,2 წამით გაუმჯობესა საქართველოს რეკორდი, რომელიც მის მიერვე შარშან ალმა-ათაში იყო დამყარებული. ბახტაძემ წლეულს რკინიგზელთა საერთაშორისო შეჯიბრებაშიც ისახელა თავი. ლენინგრადში, სადაც ეს ასპარეზობა გაიმართა, თბილისელმა ოსტატმა ესტაფეტაში 4×400 მეტრზე იმარჯვა და ევროპის რკინიგზელთა ახალი რეკორდის თანაავტორი გახდა.

* * *

სურათზე: ტ. ბახტაძე ფინიშთან.

ფოტო ბ. ქვათაძისა.

...ლი ქრონიკი

...მპიონი ცხენის გახედნაში გახდა ...ზე“ ასპარეზობდა და 1.501 ქუ...ოვა „იკარზე“ VI ადგილი დაი...

...დია ჩემპიონატში წარმატებით ...ერულ წყვილთა ფინალში ეს...დაამარცხეს მასპინძელთა „დუე...ვ. ვაჟთა წყვილებში უძლიერეს...ც გადამწყვეტ მატჩში მოუგეს ..., 7:5, 9:7. ქალებში ყველას აჯო...ებში — პოლონელმა გონშორე...ი არ პყავდათ ტეგარტსა და

...ში გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი ...ნგეთის ტრასაზე გაიმართა. ყოველ ...რომელთაგან 3 საუკეთესო ...ს იცავდნენ მსოფლიოს ექს-ჩემპიო...ხორი ი. გრიგორიევი, ახალგაზრდა ...კვლავ მაღალი კლასი გამოავლი...ოო მერრე სერიაში III ადგილი ...გამოვლის გამო საბჭოთა გუნდმა ...ს ინგლისელებმა — 26 ქულა. II ...III — შვეიცარელები (54).

...ამ ქალაქში გაიმართა ძალოსან...ც მონაწილეობდნენ გდრ-ის, ...ები. კარგად გამოვიდნენ რუსე-

თის ფედერაციის ათლეტები, რომლებმაც 17 ქულა მოაგროვეს. II ადგილი დაიკავეს მასპინძლებმა (15). III ადგილზე დარჩნენ გერმანელები (6). თავიანთ წონით კატეგორიებში პირველი ბრიზები მოიპოვეს ვ. მარზაგულოვმა, ვ. კოზლოვმა, რ. შუმმა, ა. კალინჩენკომ და ვ. პოლიაკოვმა.

● **სტოკჰოლმი, 29 აგვისტო.** სსრ კავშირის 15 ჭაბუკმა მოჭადრაკემ დაამარცხა თავისი თანატოლები ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებიდან — ისლანდიიდან, ნორვეგიიდან, შვეციიდან და ფინეთიდან საბჭოთა ჭაბუკების წინააღმდეგ შეტოქვნი ერთიანი გუნდით თამაშობდნენ. I ტურში ჩვენებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 13:2, ხოლო II — 10:5. ამრიგად, საერთო ანგარიშია 23:7. საბჭოთა გუნდში 6 ოსტატი იყო. განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა გუნდის ყველაზე ახალგაზრდა წევრმა, 15 წლის ტულელმა მოსწავლე ა. კარპოვმა.

● **ბრატისლავა, 29 აგვისტო.** აქ დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი ჭაბუკ თანამედროვე ხუთჭიდელთა შორის. ბრძოლაში ჩაება 9 ქვეყნის 26 სპორტსმენი. შეჯიბრების პირველი სახეობის—ცხენოსნური კროსის შედეგ პირად ჩათვლაში დაწინაურდა საბჭოთა ხუთჭიდელი ვ. პარამონოვი — 1.100 ქულა. გუნდურ ჩათვლაში სამმა კოლექტივმა მოაგროვა ქულათა თანაბარი რაოდენობა — 3.210. ესენი არიან: სსრ კავშირის, შვეციისა და გდრ-ის წარმომადგენლები.

● **პარიზი, 29 აგვისტო.** ლა ბოლის ყურეში დამთავრდა „ოქროს თასის“ გათამაშება „ფინის“ კლასში. ბოლო რბოლა საბჭოთა ატლეტმა ვ. კოზლოვმა მოიგო. მაგრამ საერთო ჯამში იგი VI ადგილს ვერ ასცდა. ვ. მანკინი IX ადგილზე აღმოჩნდა. ამ არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატში უძლიერესი იყო ოლიმპიური „ოქროს“ მფლობელი ვ. კიუპკაიდე (გდრ).

● **ბონი 29 აგვისტო.** შარშანდელმა ვერცხლის ბრიზიორმა, გფრ-ის ველოსიპედისტმა რ. ალტიგმა მოიგო პროფესიონალთა 273-კილომეტრიანი რბოლა მსოფლიო პირველობაზე. გამარჯვებულმა საშუალო არითმეტიკული სიჩქარით ანგარიშით 36,388 კმ (ალტიგის დროის 7:22,6). ადგილები დაიკავეს სახელგანთქმულმა ფრანგებმა პ. ანკეტილმა და რ. პულიდორმა. სტარტიდან წასული 77 მრბოლელიდან ფინიშს მხოლოდ ოცმა მიაღწია.

● **ალესი** (საფრანგეთი), 29 აგვისტო. 100-უჯრიან შაშში მსოფლიო ჩემპიონთან მატჩის კრეტენდენტებმა წარმატებით აიღეს სტარტი აქ დაწყებულ ტურნირში. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ვ. შოგოლევმა მოუგო ჩეხოსლოვაკიის ორგზის ჩემპიონს რეიმანს. მეორე საბჭოთა დიდოსტატმა ა. ანდრეიკომ დაამარცხა შვეიცარიელი კიუკენი. I ტურში გაიმარჯვეს, აგრეთვე, იტალიელმა ლაპორტამ და ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ, 16 წლის სეირანდუმა (ჰოლანდია). ტურნირი ორ წრედ ჩატარდება. უკანასკნელი, XVIII ტური გაიმართება 10 სექტემბერს. გამარჯვებული გაისად შეხვდება მსოფლიო ჩემპიონს, კიეველ ი. კუპერმანს.

● **მოსკოვი, 29 აგვისტო.** თანამედროვე ხუთჭიდში სსრ კავშირის ჩემპიონატის მონაწილენი მეორე დღეს საფარიჯაო ბილიკზე არკვევდნენ ურთიერთობას. ბრძოლები 8 საათს გაგრძელდა და საუკეთესო შედეგი — 28 მოგებული შეხვედრა 35-დან — ჰქონდა უკრაინელ პ. ლედნიოვს. დღეს ასპარეზობდნენ სროლაში. ყველას აჯობა დინამოელმა უ. ბაროიანმა — 196 ქულა 200 შესაძლებლიდან.

● **სოჭი, 29 აგვისტო.** სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა ნაკრებმა გუნდმა გაიმარჯვა აქ დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირში. მან მოიგო ხუთივე შეხვედრა, ამასთან, არც ერთი პარტია არ წაუგია. ბოლო მატჩში საბჭოთა ფრენბურთელებმა დაამარცხეს პოლონელები — 3:0 (15:11, 15:11, 15:7). დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: რსფსრ, გდრ, პოლონეთი, სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები, ბულგარეთი.

...ხალი ქრონიკი

„მარსელიეზა“ ამკობს ჩემპიონს

მაინის ფრანკფურტი, 30 აგვისტო. ამ ქალაქის ჭიჩებში ავტომობილმა კარგა ხანია დაჯაბნა ველოსიპედი. მაგრამ თუ ბოლო ხანებში ტრანსპორტის შედარებით ძველმა სახეობამ მაინც დაიკვიდრა ადგილი ქალაქის მაგისტრალებზე, ეს გასაგებიცაა: მაინის ქალაქში დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი ველოსპორტში. მრავალი სპორტსმენი გადაადგილების სწორედ ამ ხერხს ირჩევს სასტუმროდან ქალაქის ტრეკამდე, სადაც შეჯიბრება მიმდინარეობს.

თუმცა უნდა ითქვას, რომ ველოსიპედი და მანქანა ძნელად თავსდებიან ქალაქის ჭიჩებში. ეს თავისთავზე გამოსცადა საბჭოთა გუნდის მწვრთნელმა ს. ბორისოვმა, რომელსაც ველოსიპედია ბილიკზე მუშაობი მანქანა დაეჯახა. საბედნიეროდ ყველაფერი კარგად დასრულდა — დაზიანდა მხოლოდ ველოსიპედის წინა თვალი.

სპორტსმენებმა შედარებით დიდი ხანია აითვისეს ტრეკის ბეტონის ბილიკი, რომელიც საკმაოდ მოხერხებულად მიაჩნიათ. აქ 400-მეტრიანი ბილიკია, მაგრამ საფინიშო სწორი მოკლეა, ვადრე, მაგალითად, ტულის ტრეკზე. თუმცა ეს არც თუ დიდი დაბრკოლებაა. ველოსტადიონი საკმაოდ დაშორებულია ქალაქის ცენტრს, თუმცა წარმტაც ადგილას — ფიჭვის ტყეში მდებარეობს.

ყველაზე მეტად ტრეკი მოეწონა მხიარულ ფრანგ პ. ტრანტანს, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს პირველი მედლის მფლობელი გახდა 1000 მეტრზე ადგილიდან რბოლაში.

ეს სახეობა სულ ახლახანს შეიტანეს შეჯიბრების პროგრამაში და როცა მოსკოვში ღამის პირველი საათი იყო, ჩვენ ვუსმენდით დიდებულ „მარსელიეზას“, გამარჯვებულის პატივსაცემად რომ დაუკრეს. ფრანგის კუნთმაგარმა ფეხებმა ველოსიპედს საოცარი სიჩქარე გამოსწურეს. ტრანტენმა დისტანციის გავლას 1 წუთი და 7,29 წამი მოანდომა.

II ადგილზე გასულმა ბელგიელმა პ. სეიმ მხოლოდ 1.08,60 აჩვენა, „ბრინჯაოს“ პრიზიორმა ვ. ვან დე რუეტმა (ჰოლანდია) კი — 1.08,98. ი. ბოდნიეკსი მხოლოდ V იყო — 1.09,15. ეს შედეგი ბევრად სჯობს რიგელის მიერ ტულაში ნაჩვენებ დროს, რითაც მან სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიგო. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ბოდნიეკსი გუნდის ინტერესებისთვის გამოვიდა ამ სახეობაში, ვინაიდან კოლექტივის პირველი ნომერი—ხარკოველი ი. ცელოვალნიკოვი ვერ ჩამოვიდა ფრანკფურტში და ბოდნიეკსს, რომელიც სპრინტში და ტანდემზე გამოსასვლელად ემზადებოდა, მოუწია ამხანაგი შეეცვალა.

შეუპოვარი, პატარა ტანის სპორტსმენი ქალის ა. პურონენის ბრინჯაოს მედალი ერთადერთი გამოდგა ჩვენი გუნდისთვის გზატკეცილზე. იგი ამჯერად ძალებს ცდიდა გამოდევნებით 3 კილომეტრზე რბოლაში. წინასწარ რბოლაში პურონენმა ადვილად გაუსწრო ინგლისელ მ. პიტჩფორდს და მესამე შედეგი აჩვენა — 4.12,08. საუკეთესოთა სიას სათავეში მოექცა ინგლისელი ბ. ბერტონი — 4.08,03.

სამაგიეროდ, მეოთხედფინალში პურონენს საკმაოდ ძლიერი ბელგიელი კ. გოემინი შეხვდა. თავდაპირველად ბელგიელმა მას რამდენიმე მეტრით გაუსწრო, მაგრამ აინოს კარგმა ფინიშმა უშველა. იგი ნახევარფინალში გავიდა და ახლო დგას თავისთვის ჩვეულებრივ „ბრინჯაოსთან“.

დღეს დილიდან ბრძოლაში ჩაებნენ სპრინტერები. საბჭოთა სამეულს მეთაურობს მსოფლიო ჩემპიონი, თბილისელი ომარ ფხაკაძე, რომელმაც იოლად მოუგო ვ. მალიცკს და მერვედფინალში გავიდა.

პარტია გაღაიღო, მაგრამ...

პეტროზავოდსკი, 30 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის ქალთა XXVI საჭადრაკო ჩემპიონატის აქაური ნახევარფინალის VI ტურში ნ. ჩიქობავამ ლოგიკური თამაშით შამათი მოუმზადა ოსტატ ვ. ტიხომიროვას მეფეს, მაგრამ კრიტიკულ მომენტში ბოლომდე ვერ შეძლო ვარიანტის გათვლა და უარესი პოზიციით დარჩა. ბოლოს, გაიმარჯვა ვ. ტიხომიროვამ. ც. კობაიძე ყაიმზე შეუთანხმდა ლ. შადურას.

VII ტურში ც. კობაიძე — ვ. მიკენელდის შეხვედრა ყაიმით დასრულდა. ნ. ჩიქობავას ცუდად წაუვიდა საქმე ჟ. გუსევასთან და უფიგუროდ დარჩა. ერთ მომენტში მას გონებამახვილური სვლით შეეძლო ყაიმის მიღწევა, მაგრამ ეს ვერ შეამჩნია და დამარცხდა.

VIII ტურში ნ. ჩიქობავა უდიდესი მონდომებით შეებრძოლა საერთაშორისო ოსტატ კ. ზვორიკინას. ენდშპილიც ჩინებულად ითამაშა. მართალია, იმ დღეს პარტია არ დამთავრებულა, მაგრამ თბილისის ჩემპიონის გამარჯვება ეჭვს არ იწვევს. კელავ ყაიმით დაკმაყოფილდა ც. კობაიძე, ამჯერად, მოსკოვის ჩემპიონ ო. კაცკოვასთან.

8 ტურის შემდეგ ლიდერობენ: კ. სკეგინა — 7, გ. არჩაკოვა — 6, ვ. ტიხომიროვა — 5, კ. ზვორიკინა — 4,5 (1), ც. კობაიძე, ო. კაცკოვა, ლ. შადურა და ი. იდელჩიკი — 4,5-4,5.

ო. ალხანიშვილი.

რ. ჯინჯიხაშვილი ლიდერებში

კრასნოდარი, 30 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ მიმდინარეობს სსრ კავშირის ვაჟთა საქადრაკო ჩემპიონატის ერთ-ერთი ნახევარფინალი, რომელშიც მონაწილეობენ ჩვენი მოჭადრაკეები — საქართველოს ჩემპიონი რ. ჯინჯიხაშვილი და ა. ბუსლაევი.

დღეისთვის ტურნირში 5 ტურია განვლილი. დაწინაურებულთა შორის არის რ. ჯინჯიხაშვილიც (3,5), რომელიც II-IV ადგილებს იყოფს საერთაშორისო ოსტატებთან ლეინთან და გიასლისთან (I ადგილზეა კოტკოვი — 4). ჩვენმა ჩემპიონმა I ტურში წააგო კოტკოვთან, II — ყაიმით დაამთავრა შეხვედრა რსფსრ-ს ჩემპიონ სერგეევსკასთან, III — მოუგო ბუსლაევს, IV — დაამარცხა მაცი, V — გაიმარჯვა დიდოსტატ ვასიუკოვთან.

ა. ბუსლაევს მხოლოდ 1,5 ქულა აქვს.



ბათუმში იწვრთნება საქართველოს მოკრივეთა ნაკრები გუნდი. გამოცდილი მწვრთნელები, სპორტის დამსახურებული ოსტატები ა. ნოვოსარდოვი, შ. გორგასლიძე და გ. ვართანოვი დიდ ყურადღებას უთმობენ არა მარტო სპორტსმენთა ტექნიკისა და ტაქტიკის სრულყოფას, არამედ მათს ხაერთო ფიზიკურ მომზადებას. მოკრივეები ამ მიზნით დიდ დროს უთმობენ მძლეოსნურ ვარჯიშებს.

სურათზე: ნაკრები გუნდის წევრები შეცდენობენ მძლეოსნობაში. წვრთნას ხელმძღვანელობს შ. გორგასლიძე.

ფოტო ა. ედიგაროვისა.

„ფეხბურთელი ტყვეების“ წინააღმდეგ

„ფეხბურთელი ტყვეების“ ლიკვიდაცია ძირითად გარდატეხას მოახდენდა ესპანურ ფეხბურთში და აწი მაინც დაგვიფარავდა ისეთი სამარცხვინო მარცხისგან, როგორიც მსოფლიო ჩემპიონატში ვიწვნიეთ“, — ეს სიტყვები ამოღებულია ე. წ. „ფიზკულტურა და სპორტის ესპანეთის საბჭოს“ დადგენილებიდან. ამ დღეებში ხსენებულმა საბჭომ სადგანგებო სხდომაზე განიხილა ესპანური ფეხბურთის ძირითადი პრობლემები. მწვრთნელებმა ერთხმად განაცხადეს, რომ ესპანური ფეხბურთის მთავარი უბედურება „ფეხბურთელების ბაზრობაა“. ერთის მხრივ, საკმარისია გამოჩნდეს ნიჭიერი ესპანელი ფეხბურთელი და იგი მაშინვე საზღვარგარეთ იყიდება. მეორეს მხრივ, ესპანეთის უმდიდრესი კლუბების მესვეურები არ არიან დაინტერესებული ახალგაზრდა სპორტსმენების აღზრდით, უბრალოდ, არჩევენ სხვა ქვეყნებში იყიდონ ვარსკვლავები.

საბჭომ გადაწყვიტა აკრძალოს საზღვარგარეთის ფეხბურთელებით ვაჭრობა და ესპანელი სპორტსმენების ექსპორტი. ერთხმული ბრალების მწვრთნელმა ხოსე ვილალონგამ განაცხადა:

„სანამ ეს ამბავი არ მოისპობა, ესპანეთის ნაკრების ვერც ერთი მწვრთნელი ვერ მოახერხებს იმაზე მეტს, რაც მე მოვახერხე ლონდონის მსოფლიო ჩემპიონატში“.

მომთაბარე მედლები

ავსტრიის გაზეთმა „ფოლკსშტიმმა“ ამ სათაურით გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც ლაპარაკია ოლიმპიური ვერცხლის მედლების შესახებ წყვილთა ფიგურულ სრიალში. როგორც ცნობილია, 1964 წელს, ინსბრუკის ზამთრის თამაშებში ეს მედლები გადაეცათ დასავლეთგერმანელ მოციგურავეებს შ. კილიუსს და შ. ბაიერერს, რომელთაც II ადგილი დაიკავეს.

მაგრამ, როგორც რამდენიმე თვის შემდეგ გაირკვა, კილიუსსა და ბაიერერს არ ჰქონდათ ოლიმპიური მედლების მიღების უფლება, ვინაიდან ჯერ კიდევ ინსბრუკის თამაშების დაწყებამდე პროფესიონალებში

დასავლეთგერმანელი მოციგურავეების საქმეს თავდაპირველად ფიგურული სრიალის საერთაშორისო კავშირი განიხილავდა. ამ უკანასკნელმა არა თუ დაადასტურა კილიუსისა და ბაიერერის წინააღმდეგ ბრალდება, არამედ ახალი დანაშაულიც კი წაუყენა მათ: აღმოჩნდა, რომ ისინი ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ტრიკოტაჟის ნაწარმს უკეთებდნენ რეკლამას და გვარიანადაც ისარგებლეს.

კავშირმა შუამდგომლობა აღძრა და კილიუს—ბაიერერის საქმეს ხელი მოჰკიდა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა, რომელმაც წლეულს, იანვარში, გადაწყვიტა მედლები ჩამოერთმიათ მათთვის. ამ დღეებში გადაწყდა კიდევ ერთი საკითხიც: ეს მედლები გადაეცემა კანადელთა წყვილს, დ. უილკსსა და შ. რეველს, რომელთაც ინსბრუკში III ადგილი დაიკავეს. კანადელების ბრინჯაოს მედლებს კი ამერიკელები, და-ძმა ვიეიან დარონალდ ჟოზეფები დაეპატრონებიან. ინსბრუკში ამერიკელები მეოთხე ადგილზე გავიდნენ, ორწლინახევრის თავზე კი ოლიმპიურ ბრინჯაოს მიიღებენ.

მხრიდან

აფრიკული რეკორდები

„ცხელი აფრიკის წარმომადგენელთა სახით კოლონიალიზმის წყვდიადს თავს აღწევს და თავისუფლების ნათელ გზაზე გამოდის ახალი სპორტული ელიტა“. „შავი ვარსკვლავები“ დამზობით უმუქრებიან ყველა ევროპულ რეკორდს, ისინი აქარწყლებენ ჩვენს ყველა წარმოდგენას მძლეოსანთა პოტენციურ შესაძლებლობებზე“, — წერდა მსოფლიოს სპორტული პრესა რომის ოლიმპიადაში აფრიკელი მორბენლების სენსაციური წარმატების შემდეგ.

დღეს, როცა მორიგ ოლიმპიურ თამაშებს ორი წელი გვაშორებს, სპეციალისტები თავიანთ პროგნოზებში პატივისცემით იხსენიებენ აფრიკელ მძლეოსნებს. ამ წერილით სწორედ აფრიკის კონტინენტის მძლეოსნობაზე გიამბობთ და შევეცდებით ორიოდე სიტყვით გაგაცნოთ იქაური სპორტის ლიდერები.

100 მეტრი. 1959 წლის ივლისში, ჰარიზის პირველობაზე, არც თუ ცნობილმა სენეგალელმა ათლეტმა 100 მეტრი 10,2 წამში გაირბინა. ეს ევროპის რეკორდი იყო. იმ ხანად ამდენი სი ევროპელის მეტროპოლიის სპორტულ ღირსებას იცავდა. რომის ოლიმპიადაში მან ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ასევე შედეგს მალე მიაღწიეს ცხობილმა განელმა სპრინტერმა და სიგრძეზე მხტომელმა მაიკლ ახეიმ და სპილოს ძვლის ნაპირის რესპუბლიკის ნიჭიერმა სპორტსმენმა კაუსუ კონემ. უფრო გვიან ამ უკანასკნელმა ყველას აჯობა ! აფრიკულ თამაშებში ორსავე სპრინტერულ დისტანციაზე.

და მაინც, გამოჩნდა სპორტსმენი, რომელმაც ეს რეკორდიც გააუმჯობესა. 1965 წლის აპრილში მალგაშის რესპუბლიკის დედაქალაქ ტანანარივეში უკონკურსოდ აიღო სტარტი ქვეყნის ჩემპიონმა, 22 წლის ჟან-ლუი რაველომანანტსოამ და ვიდრე ჟურნალისტები მოასწრებდნენ თავიანთ ბლოკნოტებში ჩაენიშნათ მადაგასკარის ჩემპიონის საკმაოდ არასპრინტერული გვარი, ჟანი უკვე აფრიკის რეკორდსმენი გახდა: მიუხედავად პატარა პირქარისა, მან ოთხივე წამმზომი 10,1 წამზე გააჩერა.

–200 მეტრი. ამ დისტანციაზე პირველია კენიელი სერაფინო ანტაო, მეორე კი — ბაღულაი სეი, რომელსაც აქტივში 20,4 წამი აქვს, თუმცა ამ შედეგს არ აღვნიშნავთ, ვინაიდან იგი ნაჩვენებია უმოსახვევო, პირდაპირ ბილიკზე.

აი, აფრიკის საუკეთესო სპრინტერთა ოთხეული:

სერაფინო ანტაო	20,5	კენია	1964 წლის სექტემბერი.
აბდულაი სეი	20,7	სენეგალი	1960 წლის ივნისი.
აბდულ კარიმ ამუ	20,7	ნიგერია	1961 წლის აპრილი.
ბუშაიბ ელ მაში	20,8	მაროკო	1963 წლის აპრილი.

400 მეტრი. ლიდერობს აბდულაი სეი, რომელმაც ლონდონში, „უაიტსიტის“ სტადიონზე ეს დისტანცია 45,9 წამში დაფარა.

აბდულაი სეი	45,9	სენეგალი	1960 წლის აგვისტო.
უესლეი ჯონსონი	46,2	ლიბერია	1960 წლის აგვისტო.
ფრედერიკ ოვუზუ	46,4	განა	1961 წლის აპრილი.
აბდულ კარიმ ამუ	46,6	ნიგერია	1960 წლის სექტემბერი.
ვილსონ კიპრუგუტი	46,6	კენია	1965 წლის ივნისი.

უნდა აღინიშნოს დაკარის თამაშების ჩემპიონი და ! აფრიკული თამაშების ბრინჯაოს მედლის მფლობელი ამადუ გაკუ (სპილოს ძვლის ნაპირი), რომელიც ადრე ფეხბურთელი იყო.

800 მეტრი. ტოკიო, 1964 წელი. 800-მეტრიან დისტანციაზე სტარტი დაწინაურდა მანამდე უცნობი აფრიკელი სპორტსმენი. სპეციალისტებმა მის წარმატებას ეჭვის თვალით შეხედეს. მაგრამ აი, კიპრუგუტი ბოლო წრის შემოვლისასაც პირველია. მან ჩამოიტოვა ყველა მეტოქე აშშ-დან, ბელგიიდან, საფრანგეთიდან, სსრ კავშირიდან და აფრიკის ახალი რეკორდი დაამყარა. ნახევარფინალში კენიელი ახალბედა კიდევ უფრო უკეთ გამოვიდა, ფინალში კი შესანიშნავ შედეგს (1.45,9) მიაღწია და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

ახლა ვ. კიპრუგუტი 28 წლისაა. იგი კენიის დედაქალაქის — ნაირობის მახლობლად ცხოვრობს. საინტერესოა, რომ წვრთნის დროს კიპრუგუტი ლიდერად მუდამ იყენებს სირაქლემას, რომელსაც ჩვეულებად აქვს სპორტსმენზე 3-5 მეტრით წინ ირბინოს ყოველგვარი სიჩქარის დროს.

ვილსონ კიპრუგუტი	1.45,9	კენია	1964 წლის ოქტომბერი.
ამედ ისა	1.48,4	ჩადი	1964 წლის ოქტომბერი.
მამბეი ნდიაი	1.48,6	სენეგალი	1965 წლის ივლისი.

1.500 მეტრი. ამ მანძილზე საუკეთესო აფრიკელი მორბენლებიდან, პირველ ყოვლისა, მეორე კენიელი — კიპჩოგო კეინო უნდა დავასახელოთ. სხვათა შორის, იგი პირველია 5.000-მეტრიან დისტანციაზე. უნდა აღინიშნოს, რომ კეინო პირველი აფრიკელი მძლეოსანია, რომელმაც მსოფლიო რეკორდი დაამყარა. კენიელი ჩემპიონი მხიარული, გულღია კაცია, ჰყავს ცოლი და სამი წლის გოგონა, მუშაობს პოლიციელად.

კიპჩოგო კეინო	3.39,6	კენია	1965 წლის ივლისი.
მამო სებსიბე	3.45,8	ეთიოპია	1964 წლის ოქტომბერი.
მოჰამედ გამუდი	3.46,2	ტუნისი	1964 წლის ივლისი.

5.000 მეტრი. პირველია კვლავ კეინო, რომელსაც 1965 წელს „ჰელმისის პრიზი“ მიენიჭა. ტუნისელ სამხედრო მოსამსახურეს გამუდის ეკუთვნის კონტინენტის მეორე შედეგი, რომელიც მან წლეულს, ივნისში აჩვენა კუსონის ჩემპიონატზე, ვარშავაში. 1964 წელს გამუდის „ჰელმისის პრიზი“ მიეკუთვნა. იგი ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის მედლის მფლობელია. მანვე 10.000 მეტრზე რბენაში აჩვენა აფრიკის საუკეთესო შედეგი — 28.24,8.

კიპჩოგო კეინო	13.21,2	კენია	1965 წლის ნოემბერი.
მოჰამედ გამუდი	13.43,4	ტუნისი	1966 წლის ივნისი.
ნიანდიკა მეიორო	13.52,8	კენია	1960 წლის სექტემბერი.

5 000-მეტრიან დისტანციაზე კარგი პერსპექტივა აქვთ კენიის ახალგაზრდა თანამემამულეებს: 19 წლის ტემუს (3 მილზე — 13.40,2), 20 წლის ფუზეს (13.50) და 18 წლის ნიაკვაიოს (13.53,6).

განგებ არ ვასახელებთ აფრიკის საუკეთესო მარათონელებს და 10.000 მეტრზე მორბენლებს, ვინაიდან ეს დისტანციები დღესდღეობით ძალზე იშვიათად გვხვდება აფრიკის კონტინენტის ასპარეზობათა პროგრამაში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, უნდა გითხრათ, რომ. გამუდის გარდა, 10.000-მეტრიან დისტანციაზე შესანიშნავი შედეგი აქვს ეთიოპიელ მამო ვოლდეს (28.31,8), რომელმაც 1963 წელს სან-სებასტიანის ცნობილი კროსი მოიგო. აბებე ბიკილამ, რომელიც ავტორია აფრიკისა და მსოფლიო რეკორდებისა მარათონში (2.12.11,2), ბოლო ორ ოლიმპიადაში გამარჯვებითაც დამტკიცა თავისი ოსტატობა.

კონტინენტის რეკორდი 3.000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენაში ტუნისელ ლაბიდი აიაშის ეკუთვნის. 1960 წლის ივლისში ამ მანძილზე მან აჩვენა 8.42,2.

110 მეტრზე თარჯრბენში ყველას უგანდელი აგრეი ავორი ჯობს — 14,0, 400 მეტრზე თარჯრბენში კი მისი თანამემამულე იორემ ოჩანა — 50,8.

დღითიდღე ოსტატდებიან აფრიკელი მხტომელებიც.

სიგრძეზე ხტომა. ამ სახეობაში შედეგით — 791 სმ — ლიდერობს გამოცდილი ალჟირელი სპორტსმენი ალი ბრაკში, რომელმაც 1959 წელს ხმელთაშუა ზღვის თამაშებში გაიმარჯვა. შემდეგ კი აბიჯანსა და დაკარში მეგობრობის თამაშებში ისახელა თავი. მეორეა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სპორტსმენი ეზედინ ამედ იაკობი (780), მესამე — განელი მაიკლ ახეი, რომელიც ავსტრალიაში 805 სმ-ზე, უგანდაში კი — 811 და 817 სანტიმეტრზეც კი გადახტა. მაგრამ ყველა ეს შედეგი ზურგჭარის დროს იყო ნაჩვენები.

სამხტომში კონტინენტის საუკეთესო ოსტატებად დღესდღეობით იოვლებიან სენეგალელი პიერ ვილიამი და ნიგერიელი სამუელ იგუნი, რომლებიც აფრიკის რეკორდის თანაავტორები არიან (16,27). 16 მეტრზე ხტომა მეორე ნიგერიელ სპორტსმენ ჯორჯ ოგანიც.

სამაღლეზე ხტომა. ამ სახეობაში აფრიკელ მხტომელთა წარმატება, პირველ ყოვლისა, კონგოელი (ბრაზავილელი) ანრი ელენდესა და ჩადელი მაჰამატ იდრისის სახელთან არის დაკავშირებული. ყოფილმა კალათბურთელმა ელენდემ დიდ წარმატებას მიაღწია აბიჯანისა და დაკარის თამაშებში. მისი საუკეთესო შედეგია 214 სმ. აფრიკის რეკორდსმენის, ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტროს სპორტული სამმართველოს გამგის მაჰამატ იდრისის სახელი კარგა ხანია გასცდა მის სამშობლოს. მან უკვე მეორედ გაუმჯობესა შედეგი: შარშან 216 სმ-ზე გადახტა, წლეულს — 217-ზე.

ამ ბოლო ორ წელიწადში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს აფრიკელმა ჭოკით მხტომელებმა. ნიგერიელი ოუენ ოკანდეის სარეკორდო ნახტომი (426) 5 წლის შემდეგ, 1965 წელს გაიმეორა ბრუ ელოემ (სპილოს ძვლის ნაპირი). მესამე შედეგის ავტორია შესანიშნავი კენიელი მრავალჯიდელი კიპროპ კროეჩი, იგი ავტორია კონტინენტის რეკორდისა ათჯიდში (6.707 ქულა).

ტყორცნა. სულ უფრო მეტი მოყვარული ჰყავს ბერთვის კვრას. ამ სახეობაში ყველა ჩამოიტოვა მაროკოელმა ლახსენ სამსამ აკამ. იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში სწავლობს და, როგორც ჩანს, თავისუფალ დროს უქმად როდი კარგავს. წლეულს აკამ კონტინენტის რეკორდი 18,16 მეტრამდე გაზარდა. მაროკოელი გოლიათი 22 წლისაა, სიმაღლით 197 სმ-ია და 112 კგ-ს იწონის. ოსტატობით მას ბევრად არ ჩამორჩება სპილოს ძვლის ნაპირის ცნობილი სპორტსმენი სეგი კრაგბე, რომელსაც კარგი შედეგები აქვს ბერთვის კვრასა (16,96) და ბადროს ტყორცნაში.

ადრე სეგი კრაგბე სასანდრას ნავსადგურში მუშაობდა შოფრად. ახლა იგი რესპუბლიკის დედაქალაქში — აბიჯანში ცხოვრობს. დიდ ასპარეზზე პირველად გამოვიდა 1961 წელს აბიჯანის მეგობრობის თამაშებში, 3 წლის შემდეგ კი კისკოს (ფინეთი) გამართულ ასპარეზობაში მიიღო მონაწილეობა და აფრიკის რეკორდი დაამყარა ბადროს ტყორცნაში — 52,86 მ.

კარგად აქვთ საქმე შაბის ტყორცნელებსაც. მათ ლიდერობს ნიგერიელი ანტინი ოიახირე — 71,52. შემდეგ შეიძლება დავასახელოთ კენიელი კიპტალამი (70,46) და ჩადელი ათლეტი იანიამბალი, აფრიკის ბოლო სამი სპორტული ფორუმის პრიზიორი (69,94).

აი, ასეთია აფრიკელი „სპორტის დედოფალი“ ბრაზავილის ფორუმიდან ერთი წლის თავზე. იქაური სპორტსმენები ყოველდღე ახალ-ახალ სიურპრიზს თავაზობენ სპორტულ სამყაროს. ეჭვი არ არის, მექსიკის ოლიმპიადისა და აფრიკის II თამაშებისთვის, რაც 1969 წელს გაიმართება ბამაკოში (მალი), აფრიკის მძლეოსნები კიდევ მრავალი სენსაციის გმირები გახდებიან.

ა. ბარეშვი.

◆ ბუდაპეშტი, 30 აგვისტო. ევროპის მძლეოსანთა ჩემპიონატში დღეს გათამაშდა ოქროს პირველი მედლები. ბირთვის კვრაში ჩემპიონის წოდება მოპოვა ლენინგრადელმა ნ. ჩიოუოვამ — 17,22 მ. 10 კმ-ზე რბენაში „ბრინჯაოს“ დაეპატრონა ლ. ნიკიტენკო. აქ უველას აჯობა ი. ჰააზემ (გდრ).

◆ ვარბერგი (შვედეთი), 30 აგვისტო. საბჭოთა სპორტსმენმა ტ. პინეგინმა და ფინელმა ჰ. ტალბერგმა გაიმარჯვეს ევროპის პირველობაზე აფროსნობაში. მათ ტოლი არ ჰყავდათ „ვარსკვლავიებური“ კლასის ნავებით ასპარეზობისას. თვითეულმა 226 ქულა დააგროვა. III ადგილზე გავიდა იტალიელი ა. მარინო, რომელსაც 224 ქულა აქვს. ჩემპიონატი გრძელდება.

საუკეთესო ფეხბურთელები — უცხოეთში

უკანასკნელი წლების მანძილზე ბევრმა იუგოსლავიელმა ფეხბურთელმა მოაწერა ხელი კონტრაქტს უცხოურ კლუბებთან და ეს პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციამ პროფესიონალობის სტატუტი მიიღო. იუგოსლავიური პრესის ფურცლებზე ხშირად ქვეყნდება წერილები, სადაც გულისტკივილია გამოთქმული ამ ქვეყნის საუკეთესო მოთამაშეთა საზღვარგარეთ გადასვლის გამო.

უკვე მეორე წელია გფრ-ის „კარლსრუეში“ თამაშობს იუგოსლავიელი თავდამსხმელი შეკულარაცი, „მიუნჰენ-1860“-ის შემადგენლობაში — მეკარე რადენკოვიჩი და ნახევარმცველი პერუშიჩი, „მაიდერიხერში“ (გფრ) — პავლიჩი, დასავლეთ ბერლინის „ჰერთაში“ — შანგულინი, „ნიურნბერგში“ — მილადინოვიჩი. ანკოვიჩი გამოირჩევა „კაიზერსლაუტერნის“ (გფრ) თავდასხმაში.

ბელგიის „სტანდარდ ლიეჟში“ გამოდის ცნობილი ფორვარდი ნაუმოვიჩი. ნაკრების ყოფილი მეკარე ბიდინიჩი შვეიცარიის „ფკ სიონის“ კარს იცავს. თურქეთში 7 იუგოსლავიელია და ამ ქვეყნის ყველაზე ძვირი ფეხბურთელიც იუგოსლავიელია — „ფენერბახჩეს“ მეკარე რადოვიჩი. ყველაზე ძვირი მწვრთნელია, აგრეთვე, იუგოსლავიელი გეგიჩი, რომელიც „ფენერბახჩეს“ წვრთნის. თურქეთის ჩემპიონის „ბეშიქთაშის“ უღლიერსი მცველი იუგოსლავიელი კალიჩანინია.

ახლახან დატოვა „პარტიზანი“ კოვაჩევიჩმა. იგი საფრანგეთის „ნანტში“ გადავიდა. მისი თანაგუნდელი, მეკარე შოშკიჩი ესპანეთში ითამაშებს.

საინტერესოა, რა დღეში ჩავარდებიან იუგოსლავიის ეროვნული ნაკრები და საუკეთესო საკლუბო გუნდები, თუ ფეხბურთელებმა უცხოეთში თამაში აჯობინეს? — კითხულობს ამ ქვეყნის სპორტული პრესა.

ფეხბურთი

ჟურნალისტები მოითხოვენ

მონტევიდეო, 28 აგვისტო. ლათინური ამერიკის ქვეყნების სპორტულ ჟურნალისტთა რიგგარეშე კონგრესმა ბრალი დასდო 1966 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ორგანიზატორებს მასში, რომ ისინი აფერხებდნენ ჟურნალისტთა ნორმალურ მუშაობას. კონგრესმა, რომელზეც აქ შეიკრიბნენ არგენტინის, ბრაზილიის, ჩილის, ეკვადორის, პარაგვაის, ურუგვაისა და ვენესუელის წარმომადგენლები, სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციას მოუწოდა მხარი დაუჭიროს ამ დეკლარაციას და საქმეზე გადავიდეს.

ჟურნალისტებმა მოუწოდეს აღიკვეთოს ყოველგვარი მეტოქეობა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში. „მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატები სინამდვილეში უნდა ემსახურებოდეს ხალხთა დაახლოების საქმეს“, — ხაზგასმითაა აღნიშნული კონგრესის განცხადებაში.

კონგრესის დელეგატებმა იმედი გამოთქვეს, რომ ინგლისის ჩემპიონატისთვის დამახასიათებელი ხარვეზები შემდგომში აღარ გამეორდება. მიღებულ იქნა რამდენიმე სპეციალური რეზოლუცია, რომლებშიც წამოყენებულია მოთხოვნები ყველა საერთაშორისო ჩემპიონატში მოისპოს უცხოელ ჟურნალისტთა შეზღუდვა, აგრეთვე, ზოგიერთა მონოპოლიური პრივილეგიები.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

... ამსტერდამ-რაინის არხზე გაიმართა უნივერსიტეტების რეგატა. ბრძოლა იმდენად დაძაბული იყო, რომ ფინიშთან ერთდროულად რამდენიმე ნავი მიაჯრა და... გამარჯვებული ეკიპაჟი წყალქვეშ აღმოჩნდა. ზემოთ: გაუთვალისწინებელი შხაპის შემდეგ. ფოტო ანეფოსი.

ქ. თბილისის განათლების განყოფილებასთან არსებული ბავშვთა ფეხბურთის სპორტული სკოლა აცხადებს 1953-1954, 1955 და 1956 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა მიღებას.

მისაღები ნორმატივების ჩაბარება იწარმოებს ყოველდღე, 1 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე, 10-12 საათზე და 15-17 საათზე თბილისის შემდეგ სტადიონებზე:

ლენინის რაიონში — სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის სტადიონი. ტრიკოტაჟის ქ. № 3.

1 მაისის რაიონში — ლენინის სახელობის სტადიონი. ორჯონიკიძის ქ. № 52.

ორჯონიკიძის რაიონში — მედქალაქის სტადიონი და სტუდქალაქის სტადიონი.

26 კომისრის სახელობის რაიონში — 26 კომისრის სახელობის რაიონის სტადიონი.

შენიშვნა: თბილისის საშუალო სკოლების ფიზალზრდის მასწავლებლებს შეუძლიათ აღნიშნულ სტადიონებზე მოიყვანონ მოსწავლეთაგან შედგენილი გუნდები.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომკმლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 12043